ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7669903

ნომერი: AR11112066

თარიღი : 10.10.2025

გაცემის თარიღი : 20.10.2025

გაცნობის თარიღი : 20.10.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 69 , (ნაკვ. 4/43);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გაიოზი ჭანკვეტაძე პ/ნ 01017024251
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 1

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური შენობები
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ნეო სითი დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404420998
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ტარიელ გაბუნია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 0102006346

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 198.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 83.49
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 302.24

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 277.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 25.04
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 3.95
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.65
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.3

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით, სადემონტაჟო შენობა არის უფლების დამდგენი დოკუმენტის გარეშე. განგიმარტავთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სამსახურის მიერ შესაძლებელია შეთანხმებული იქნას მხოლოდ კანონიერ შენობა–ნაგებობებთან და მცირე არქიტექტურულ ობიექტებთან მიმართებით. უნებართვოდ შენობა–ნაგებობების აშენება და მცირე არქიტექტურულ ობიექტების მოწყობა კი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც თავის მხრივ სამშენებლო სამართალდარღვევაა. სამშენებლო სამართალდარღვევის კონტროლი ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად. აღნიშნული კოდექსის მიხედვით, უნებართვო შენობა–ნაგებობებისა და მცირე არქიტექტურულ ობიექტების დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს ზედამხედველობის ორგანოს მიერ მითითების გაცემით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენ მოთხოვნას ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N69-ში (ნაკვ. 4/43) არსებული უბენართვო შენობის დემონტაჟის ნებართვის გაცემის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.